ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ
საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ
საკითხთა კომისია

დასკვნა:**დ12. 3723166001**
თარიღი:**15/06/2023**

დ ა ს კ ვ ნ ა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში შესატანი ცვლილებებისა და დამატებების შესახებ

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ მიმდინარე წლის 14 ივნისს განიხილა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში მერიის მიერ წარმოდგენილი შესატანი ცვლილებებისა და დამატებების პროექტი.

-წარმოდგენილი პროექტით, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი განისაზღვრა 70273,5 ათასი ლარით.

-განათლების დაფინანსება იზრდება 1531,3 ათასი ლარით და ცვლილების შედეგად შეადგენს 9365,4 ათას ლარს.

-კულტურული ღონისძიებების ორგანიზებისა და ხელშეწყობის ქვეპროგრამა

იზრდება საკუთარი შემოსავლებიდან 100,0 ათასი ლარით;

-ასევე შიდამუხლობრივი გადანაწილების შედეგად, სპორტული კლუბების

ხელშეწყობას(50,0 ათ ლარით რაგბის განვითარების კავშირის მხარდაჭერას და

52,7 ათ ლარით საფეხბურთო კლუბი „მერცხალის“ დაფინანსების ზრდას) მოხმარდება.

- ცვლილებების პროექტით მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის პროგრამაში

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დაფინანსება იზრდება 17,0 ათ ლარით,

კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში შესატანი ცვლილებებისა და დამატებების პროექტის გატანა საკრებულოს სხდომაზე, მისი განხილვა- დამტკიცების მიზნით.

ქეთევან ხომერიკი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/